სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის* სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურა

მუხლი 1. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის ორგანიზაციული საკითხები

1. **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ***არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის*** დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.
2. არჩევის პროცედურა ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა კანდიდატურების არჩევის გამოცხადება

1. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა კანდიდატურების არჩევის პროცედურის დაწყების შესახებ განცხადებას ადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. განცხადებაში აისახება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა კანდიდატურებისათვის დადგენილი მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის სახეობები, მათი წარმოდგენის ადგილი, ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.
2. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და ასევე წინამდებარე წესი საჯაროდ განთავსებას ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა კანდიდატურების შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღისა.

მუხლი 3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთათვის დადგენილი მოთხოვნები

1. **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად** შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ***არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის*** მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებით და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-14 მუხლით.

მუხლი 4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

4.1 მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს (ვაკანსიის პროფილის მიხედვით), რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში.

ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

გ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2 კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის), კერძოდ, საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტებში მუშაობის გამოცდილება.

მუხლი 5. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატობის მსურველთა განცხადებების მიღების წესი

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

მუხლი 6. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა

1. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, როგორც წესი, ღია კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს, რომელიც, თავის მხრივ, შედეგებს წარუდგენს თსუ ადმინისტრაციას. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით, ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში - 10 წლის ვადით, ხოლო უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში - უვადოდ.

2. სამეცნიერო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს.

3. კენჭისყრა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 14^{00}-დან 16^{00} სთ-მდე.

4. საჭიროების შემთხვევაში შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით კენჭისყრის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. ხმის დამთვლელი კომისიის წევრების შერჩევის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს.

5. სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს კონკრეტული განყოფილების გამგეობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.

6. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერ-ცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

7. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდას-წრებით.

8. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავ-შირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

9. არჩევის პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერენ სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის შედეგები, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის წერილით ეგზავნება ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად.

10. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.

მუხლი 7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა (ფარული კენჭისყრით)

1. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია განიხილოს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის მიზნით კენჭისყრის ფარული წესით ჩატარების საკითხი.

2. კენჭისყრის ფარული წესით ჩატარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:

ა) შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით კენჭისყრის დაწყებამდე სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას 3 (სამი) წევრის შემადგენლობით;

ბ) ხმის დამთვლელი კომისიის წევრების არჩევის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ, მხოლოდ ერთ კანდიდატს;

გ) ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში;

დ) საარჩევნო სიაში შედის სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია სამეცნიერო საბჭოს წევრის სახელი და გვარი; გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში დგება ამ ყუთით მოსარგებლე ამომრჩეველთა ცალკე სია;

ე) კენჭისყრის დაწყებამდე ხმის დამთვლელი კომისიის წევრები სამეცნიერო საბჭოს თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს სამეცნიერო საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება 3 სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. გამოუყენებელ ბიულეტენად მიიჩნევა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაგდებამდე.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერ-ცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

4. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდას-წრებით.

5. ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავ-შირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

6. კენჭისყრა ტარდება კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს 14^{00}-დან 16^{00} სთ-მდე.

7. სამეცნიერო საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით. ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია ინსტიტუტის დირექტორი.

8. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) ინსტიტუტის სახელწოდება;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიულეტენი განკუთვნილია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შესარჩევად;

გ) კანდიდატების ჩამონათვალი და მათი რიგითი ნომრების თანმიმდევრობა, დალაგებული ანბანის მიხედვით;

დ) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული უნდა იყოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

9. ინსტიტუტის დირექტორი უზრუნველყოფს ხმის დამთვლელი კომისიის საარჩევნო ყუთით აღჭურვას, რომელიც კენჭისყრის დაწყებამდე მოწმდება, რათა ხმის დამთვლელი კომისიის წევრები და სამეცნიერო საბჭოს წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრთა მიერ სამეცნიერო საბჭოს წევრების თანდასწრებით.

10. საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კენჭისყრის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

11. საბჭოს იმ წევრებისთვის, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებენ კენჭიყრის სხდომაზე მოსვლას, გამოყენებული იქნება გადასატანი სარჩევნო ყუთი, რომელიც ილუქება კომისიის წევრთა მიერ სამეცნიერო საბჭოს წევრების თანდასწრებით.

11. გადასატანი სარჩევნო ყუთით სარგებლობის შესახებ საბჭოს წევრი არჩევნების წინა დღის 17.00 საათამდე მიმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომ ის შეტანილ იქნეს გადასატანი საარჩევნო ყუთით მოსარგებლე ამომრჩეველთა სიაში.

12. გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთან მიტანა ევალება ხმის დამთვლელი კომისიის ორ წევრს, რომელთაც დამკვირვებლის სტატუსით შეიძლება ახლდეს სამეცნიერო საბჭოს წევრი/წევრები.

13. ხმის დამთვლელი კომისიის იმ წევრებს, რომელიც პასუხიმგებელია გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთან მიტანაზე, კომისია გადასცემს:

ა) გადასატანი საარჩევნო ყუთით სარგებლობის მსურველ ამომრჩეველთა სიას;

ბ) საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს;

გ) დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს.

14. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

15. კენჭისყრის სხდომაზე სამეცნიერო საბჭოს წევრი ხმის დამთვლელი კომისიის წევრისაგან იღებს ერთ საარჩევნო ბიულეტენს - ერთ ვაკანსიაზე, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ბიულეტენს ხელი უნდა მოაწეროს ხმის დამთვლელი კომისიის ყველა წევრმა.

16. სამეცნიერო საბჭოს წევრი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კუთხეში, აკეთებს არჩევანს და აგდებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. საარჩევნო კუთხედ ითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება;

17. სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ერთ ვაკანსიაზე ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

18. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე ხმის დამთვლელი კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

19. კენჭისყრის დასრულების შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია სამეცნიერო საბჭოს წევრთა თანდასწრებით ხსნის საარჩევნო ყუთს ან ყუთებს (გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში) და ითვლის ბიულეტენების საერთო რაოდენობას. ბიულეტენების საერთო

რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში/სიებში (გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენების შემთხვევაში) სამეცნიერო საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას.

20. ბიულეტენების საერთო რაოდენობის დათვლის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები ითვლიან თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

21. საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ხმის დამთვლელი კომისიის შესაბამის უფლებამოსილ წევრთა ხელმოწერით;

ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

გ) საარჩევნო ბიულეტენი არ შეიცავს მე–6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს.

22. ხმების დათვლის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრების მიერ ივსება **შემაჯამებელი ოქმი**, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;

ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში/სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში/ყუთებში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

23. არჩევის პროცედურა ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

24. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება მეორე ტური. არჩევის პროცედურის მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს, არჩევის პროცედურის პირველი ტურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) საათისა. მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

25. არჩევის პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელსაც უნდა დაერთოს შემაჯამებელი ოქმი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ინსტიტუტის დირექტორს.

26. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შერჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესი ცნობისათვის ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციას.